



**ფუნქციონალური დამმტვერავების ბიომრავალფეროვნებისა და მისი
შემცირების საფრთხეების იდენტიფიცირება**

გიორგი კირკიტაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის
აგროარულ მეცნიერებების საბჭოზე
აგროარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჯაფოშვილი ბიოლოგიის მეცნიერებათა
აკადემიური ხარისხი

თანახელმძღვანელი: რობერტ პაქსტონი (Robert Paxton), ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს აგროარული უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

სადოქტორო სკოლა

სამეცნიერო მიმართულების კომისიის რეკომენდაცია

დისერტანტი: გიორგი კირკიტაძე

დისერტაციის სათაური: ფუნქციონალური დამმტვერავების ბიომრავალფეროვნებისა და მისი შემცირების საფრთხეების იდენტიფიცირება

დისერტაციის დაცვის თარიღი: 05 / 10 / 2022

რეცენზენტი 1: ზვიად ბობოქაშვილი

რეცენზენტი 2: ნანა გრატიაშვილი

რეკომენდებულია დაცვისათვის „აგრონომიის“ სამეცნიერო მიმართულების კომისიის მიერ.

თავჯდომარე, / ცოტნე სამადაშვილი / : _____
(ხელმოწერა)

წევრი, / დავით ბედომვილი / : _____
(ხელმოწერა)

წევრი /ია ფიფია / : _____
(ხელმოწერა)

ხელმძღვანელი / გიორგი ჯაფოშვილი / : _____
(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _____ / ნატო
კობახიძე /
(ხელმოწერა)

თარიღი:

ავტორის დეკლარაცია

"როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით."

სახელი, გვარი გიორგი კირკიტაძე (ხელმოწერა)

თარიღი: -----, 20---- წ

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის მატებამ გაზარდა მოთხოვნა სურსათზე, რამაც სასოფლო-სამეურნეო ფართობების მატებაც განაპირობა, ამ უკანასკნელის მატება კი ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირების ხარჯზე მოხდა. ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, რაც თავის მხრივ ადამიანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოსისტემური სერვისების მდგრადობას განაპირობებს. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში მწერების ბიომრავალფეროვნების კლებაზე მრავალი სამეცნიერო კვლევა მიუთითებს. კლება განსაკუთრებით საგანგაშოა ფუტკრებში, რომლებიც ადამიანის მიერ მოხმარებულ საკვებ მცენარეთა სახეობების 75%-ის ჯვარედინ დამტვერვასა და ნაყოფმსხმოიარობის მატებას ემსახურებიან. საქართველოში ფუტკრების შესწავლა მხოლოდ ფუნქციონალური მიმართულებით ხდებოდა და არ არსებობდა კვლევები მათი, როგორც ფუნქციონალური დამმტვერავების შესახებ, ადგილობრივი ფუტკრისნაირთა თუ რომელი ჯგუფები იყვნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფუნქციონალური დამმტვერავები და რამდენად ახერხებდა ფუტკრისნაირთა არსებული პოპულაცია დამტვერვით ამა თუ იმ კულტურის მომარაგებას. ფუტკრისნაირთა მონაწილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაშლის ჯიშებისათვის, რადგანაც უმრავლესობა ჯვარედინად დამმტვერავია. ვინაიდან ვაშლი ერთ-ერთ ეკონომიურად მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენს, ჩვენი კვლევის მიზანს ვაშლის დამმტვერავების სახეობრივი მრავალფეროვნების შესწავლა და მათი, როგორც დამმტვერავების ეფექტურობის განსაზღვრა წარმოადგენდა, აგრეთვე, უნდა დაგვედგინა თუ რომელი ვირუსული დაავადებები იყო გავრცელებული კვლევის სამიზნე ფუტკრისნაირების სახეობებში.

დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი სამუშაოები განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ 30 ვაშლის ბაღში. კვლევების დაგეგმვისას

გათვალისწინებულ იქნა დამმტვერავეების შეფასების აპრობირებული მეთოდები და მორგებულ იქნა ქართულ რეალობაზე. დამმტვერავეების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა როგორც ჩასადგმელი ხაფანგები, ასევე შეგროვდა მწერბადის დახმარებითაც. თითოული ბაღისათვის განისაზღვრა დამტვერვით უზრუნველყოფის მაჩვენებელი და სტატისტიკურად დადგინდა კავშირი დამტვერვის უზრუნველყოფასა და ბაღებში არსებულ ფუტკრების რაოდენობას შორის. დამმტვერავეებში ვირუსული დაავადებების შესწავლისათვის დაიგეგმა რომ ფუტკრები მოგვეთავსებინა RNAlater-ში რაც უზრუნველყოფდა ვირუსების შენარჩუნებას მოპოვებულ იდივიდებში.

თავდაპირველად შეგროვდა ლიტერატურული მონაცემები საქართველოში აღრიცხულ ფუტკრებზე (Apoidea) და მათმა სახეობრივმა რაოდენობამ 356 შეადგინა. უშუალოდ კვლევისთვის შეირჩა 30 ვაშლის ბაღი, სადაც შეგროვდა 1006 ფუტკრის ინდივიდი, როგორც მწერბადით ასევე ჩასადგამი ხაფანგებით. მოპოვებული ფუტკრებიდან 7 სახეობა ახალი აღმოჩნდა საქართველოს ფუტკრისნაირთა ფაუნისთვის, სულ ვაშლის ბაღებში შეგროვდა ფუტკრისნაირთა 53 სახეობა. ვაშლის ბაღების ფუტკრისნაირთა ფაუნაში სამი გვარი დომინირებს; *Lasioglossum*, *Andrena*, *Apis* და შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით 50, 24, და 22. ვაშლის ყვავილების ყველაზე ეფექტური ვიზიტორები ბაზები არიან, თუმცა ბაღებში ისინი მცირე რაოდენობით გვხვდებოდნენ. კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ვაშლის ბაღებში ბუნებრივი დამტვერვის ეფექტურობამ ვერ მიაღწია ოპტიმალურ მაჩვენებელს. ჩვენმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ფუტკრისნაირების რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს ბაღების, დამტვერვის სერვისით მაქსიმალურად მომარაგებას. კვლევებისას გამოვლინდა მეთაფლე ფუტკრებთან ასოცირებული ვირუსული დაავადებები, როგორც მეთაფლე ისე ველურ ფუტკრებში, კერძოდ: DWV-A/DWV-B (დეფორმირებული ფრთის ვირუსი); BQCV (შავი დედის უჯრედის ვირუსი); SBPV (ნელი დამბლის ვირუსი), აღმოჩნდა რომ DWV-A/DWV-B პირველად დაფიქსირდა ამიერკავკასიაში.

ფიუნქციონალურად მნიშვნელოვანი ფუტკრის ჯგუფების სიმცირემ საექსპერიმენტო ბალებში განაპირობა დამტკერვით უზრუნველყოფის შემცირება. ვირუსების გავრცელება პრობლემას უქმნის ფუტკრების პოპულაციას, ვინაიდან დამატებით რისკფაქტორებთან ერთად აღნიშნული ვირუსები ლეტალურ შედეგს იწვევს.

საძიებო სიტყვები: 1. დამტკერვა, 2. ფუტკრები, 3. დამტკერვით უზრუნველყოფა, 4. ფუტკრის ვირუსები

Abstract

Functional pollinator biodiversity and their number decline trends in Georgia

The growth of human population has increased the demand for food in recent decades, which has led to an increase in the area of land devoted to agriculture at the expense of natural habitats. The protection of natural habitats is important for the conservation of biodiversity, which in turn contributes to vital ecosystem services for human nutrition, health and well-being. Numerous scientific studies have indicated a decline in insect biodiversity in recent decades. The decline is particularly alarming for bees, which serve to pollinate and increase the productivity of 75% of species of food plants that humans consume. In the past, bees in Georgia were studied only from the perspective of faunistics and there has been no investigation of their role as functional pollinators in the country. Open questions include: which groups of native bees are functional pollinators of agricultural crops, and how well do the existing bee populations provide adequate pollination services for those crops. Apples are one of the economically most important crops in the world and in Georgia. The involvement of bees in pollination is very important for apple because most varieties are self-sterile and dependent upon insects for cross-pollination and fruit/seed set. The aim of our research was to study apple pollinators of Georgia and determine their effectiveness in apple pollination. It was important to determine which viral diseases were prevalent in the bees as viruses could lead to population decline of bees.

As a first step, we collected all published information about bees in Georgia, revealing that at least 356 bee species have been recorded in the country. Thirty apple orchards were chosen for research in Eastern Georgia, where 1006 bee individuals were collected using both sweeping nets and pan traps. Seven species were new to the Georgia bee fauna, 53 bee species were collected in total.

Three bee genera are dominant in apple orchard: *Lasioglossum*, *Andrena* and *Apis* with their percentage occurrence: 50, 24 and 22 respectively. Bumble bees are apple's most effective pollinator; however they were found in limited numbers. Our research has shown

that pollination in apple orchard is limited by lack of pollinators and that natural pollination does not reach its maximum. A pollination experiment also revealed that an increasing number of bees per orchard leads to increasing provision of apple pollination services. Our studies have identified honey bee-associated viral pathogens in both honey bees and wild bees; these include: DWV-A/DWV-B; BQCV; SBPV, it turned out that DWV-B was recorded for the first time in the Transcaucasian region.

The main reason of limited pollination is the lack of functionally important bee groups in orchards. The spread of viruses is a potential problem for bee populations. Therefore, these viruses, in combination with additional risk factors, may be a reason for elevated bee mortality.

Key words: 1. Pollination, 2. Bees, 3. Pollination provision, 4. Bee viruses

ხელმძღვანელი: გიორგი ჯაფოშვილი _____
(ხელმოწერა)

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელების: ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, ბატონ გიორგი ჯაფოშვილისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ რობერტ პაქსტონის მიმართ, მათ მიერ გაწეული მხარდაჭერის, დახმარებისა და მოტივაციისათვის სადოქტორო თემის შესრულების დროს.

აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო დარგობრივი კომისიის წევრების მიმართ, მათ მიერ გამოთქმული მნიშვნელოვანი შენიშვნებისა და რჩევებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ მარტინ ჰუზემანსა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ მაიკლ ოჰლს, რომლებმაც მომცეს შესაძლებლობა მემუშავა ჰამბურგის უნივერსიტეტის ბუნებათმცოდნეობის ცენტში და ბერლინის ბუნებათმცოდნეობის მუზეუმში. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო მარტინ ლურთერის უნივერსიტეტის „ზოგადი ზოოლოგიის“ ჯგუფის წევრებსა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ენტომოლოგიის ინსტიტუტის მთლიან შემადგენლობას.

სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებული პროექტის „ფუნქციონალური დამმტვერავეების ბიომრავალფეროვნება და რიცხოვნობის შემცირების რისკები საქართველოსა და ყირგიზეთში“ (AZ 86880) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ფუნქციონალური დამმტვერავეების ბიომრავალფეროვნება და მისი შემცირების საფრთხეები საქართველოში“ (DO /372/10-101/14) ფარგლებში.

და ბოლოს მადლობა ჩემს ოჯახსა და მეგობრებს მუდმივი მხარდაჭერისათვის.

სარჩევი

დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია-----	I
ავტორის დეკლარაცია-----	III
აბსტრაქტი-----	IV
Abstract-----	VI
მადლობა-----	IX
ცხრილების ჩამონათვალი-----	XII
გრაფიკების ჩამონათვალი-----	XII
ფოტოების ჩამონათვალი-----	XIII
რუკების ჩამონათვალი-----	XIII
აბრევიატურა-----	XIV
1. შესავალი -----	1
2. ლიტერატურული მიმოხილვა -----	4
2.1 დამტვერვით უზრუნველყოფა და დამტვერავების შემცირება -----	4
2.2 ფუტრკის ვირუსული დაავადებები -----	7
2.3 ფუტკრები -----	9
2.4 ვაშლი -----	10
3 მიზნები -----	13
4 მეთოდოლოგია -----	14
4.1 მონაცემთა შეგროვება -----	14
5 მასალების დამუშავება -----	25
5.1 დაავადებები -----	29
5.2 მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება -----	30
6 შედეგები -----	30
6.1 ვაშლის ბაღების დამტვერავები -----	30
6.2 სახეობების ბიოგეოგრაფიული გავრცელება -----	57

6.3	ყვავილზე ვიზიტის სიხშირე -----	58
6.4	დამტკერვით უზრუნველყოფა-----	59
6.5	დამტკერვის შეზღუდვა -----	60
6.6	დაავადებები -----	63
7	შედეგების განხილვა -----	67
7.1	დამტკერვის შეზღუდვა -----	68
7.1.1	ქართ დამტკერვა -----	69
7.2	დამტკერვით უზრუნველყოფა -----	70
7.3	ვირუსები -----	71
8	დასკვნები -----	73
9	ბიბლიოგრაფია -----	74
10	დანართები -----	89
	დანართი 1. გამოქვეყნებული სტატიები -----	89
	დანართი 2. მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე -----	89

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ჩასადგმელი ხაფანგებით მოპოვებული ფუტკრის სახეობები-----	33
ცხრილი 2. მწერბადით მოპოვებული ფუტკრის სახეობები-----	36

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი: 1 ადგილობრივი მწერების ეფექტურობა მეთაფლე ფუტკართან შედარებით----	3
გრაფიკი: 2 შემცირებული ან ადგილობრივად გადაშენებული სახეობების პროპორცია IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით-----	5
გრაფიკი: 3 მეთაფლე ფუტკრის დანაკარგის გამომწვევი მიზეზების ურთიერთქმედება--	8
გრაფიკი: 4 ვაშლის ბაღებში მოპოვებული ფუტკრების შემადგენლობა გვარების მიხედვით-----	32
გრაფიკი: 5 ვაშლის ბაღებში ფუტკრის სახეობების პროცენტული განაწილება-----	37
გრაფიკი: 6 ბაღების მსგავსების კლასტერი-----	38
გრაფიკი: 7 ფუტკრის სახეობების ბიოგეოგრაფიული გავრცელება-----	58
გრაფიკი: 8 ფუტკრის ცალკეული ჯგუფების მიერ მონახულებული ყვავილები.-----	59
გრაფიკი: 9 ფუტკრების გავლენა დამტვერვით უზრუნველყოფა-----	60
გრაფიკი: 10 თესლების საშუალო რაოდენობა მაქსიმალურ და ბუნებრივად დამტვერილ ნაყოფებში, -----	61
გრაფიკი: 11 სხვაობა მაქსიმალური და ბუნებრივად დამტვერვის შედეგად მიღებული ნაყოფებს შორის-----	62
გრაფიკი: 12 საექსპერიმენტო ყვავილების რაოდენობა და მიღებული ნაყოფები ქართლ დამტვერვის შემთხვევაში-----	63
გრაფიკი: 13 დეფორმირებული ფრთის ვირუსით დაავადებული ფუტკრების პროცენტული რაოდენობა-----	64
გრაფიკი: 14 შავი დედის უჯრედის ვირუსით დაავადებული ფუტკრების პროცენტული რაოდენობა-----	65
გრაფიკი: 15 ნელი დამბლის ვირუსით დაავადებული ფუტკრების პროცენტული რაოდენობა-----	66

ფოტოების ჩამონათვალი

ფოტო: 1 ყვითელი ჩასადგმელი ხაფანგი-----	17
ფოტო: 2 თეთრი ჩასადგმელი ხაფანგი-----	18
ფოტო: 3 ნულოვანი დამტვერვა (ქარისმიერი დამტვერვა)-----	20
ფოტო: 4 მაქსიმალური დამტვერვა-----	21
ფოტო: 5 ბუნებრივი დამტვერვა-----	22
ფოტო: 6 ქარისმიერი დამტვერვის დასადგენი ყუთი-----	23
ფოტო: 7 ქარისმიერი დამტვერვის დასადგენი ყუთები-----	24
ფოტო: 8 მონტირებული ფუტკრები-----	25
ფოტო: 9 მონტირებული ფუტკრები-----	26
ფოტო: 10 მაქსიმალური დამტვერვის შედეგად მიღებული ვაშლის ნაყოფები-----	27
ფოტო: 11 თესლების რაოდენობა მაქსიმალურად დამტვერილ ვაშლის ნაყოფში-----	28

რუკების ჩამონათვალი

რუკა: 1 11 ქვეყანა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, საიდანაც შეგროვდა ინფორმაცია ბაზებზე: BEL, ბელგია; NLD, ნიდერლანდები; LUX, ლუქსემბურგი; DNK, დანია; DEU, გერმანია; CHE, შვეიცარია; AUT, ავსტრია; CZE, ჩეხეთის რესპუბლიკა; SVK, სლოვაკეთი; HUN, უნგრეთი; POL, პოლონეთი-----	6
რუკა: 2 ექსპერიმენტული ბაღები-----	14
რუკა: 3 შიდა ქართლის ექსპერიმენტული ბაღები-----	15
რუკა: 4 კახეთის ექსპერიმენტული ბაღები-----	15

აბრევიატურა

პჯრ- პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია

ჩრდ.-ჩრდილოეთი

დუ-დამტვერვით უზრუნველყოფა

DWV -დეფორმირებული ფრთის ვირუსი

BQCV- შავი დედის უჯრედის ვირუსი

SBPV- ნელი დამბლის ვირუსი

ABPV- მწვავე დამბლის ვირუსი

IAPV - ისრაელის მწვავე დამბლის ვირუსი

KBV - ქაშმირის ვირუსი

SBV- პარკუჭა ბარტყის ვირუსი

CBPV - ქრონიკული დამბლის ვირუსი


1. შესავალი

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეკოსისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის (Loreau 2001), ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოსისტემური სერვისების (ჰაერის გაწმენდა, ნიდაგის ჩამოყალიბება, მცენარეების დამტვერვა და სხვა) მიწოდებას კი ეკოსისტემა უზრუნველყოფს (Kremen 2005). ეკოსისტემის მარეგულირებელ სერვისებში შედის მცენარეების დამტვერვა (Millennium Ecosystem Assessment 2003; Kremen 2005), რომლის ეფექტურობა გამოიხატება ყვავილზე დამტვერავის მიერ თითოეული ვიზიტისას მტვრის მარცვლის გადატანით ყვავილის მამრობითი ორგანოდან (მტვრიანა) მდედრობით ორგანოზე (ბუტკო), რის შედეგადაც საბოლოოდ მიღებაა თესლი ან ნაყოფი.

ცხოველების მიერ განხორციელებული დამტვერვა აუცილებელია ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებისთვის, ვინაიდან ფარულთესლოვანი მცენარეების 87%-ის გამრავლება ცხოველებით დამტვერვაზეა დამოკიდებული (Ollerton, Winfree, and Tarrant 2011) ადამიანების მიერ საკვებად გამოყენებული მოსავლის 75% მწერებით დამტვერვას საჭიროებს, რასაც უმეტესწილად ფუტკრები ასრულებენ (Klein et al. 2007; Delaplane and Mayer 2000a)). საიდანაც ძირითადი ნაწილი ველური (ერთეულად მცხოვრები) ფუტკრების მიერ ხორციელდება, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ როგორც ყვავილის განაყოფიერებაში, ასევე დიდ გავლენას ახდენენ მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე (Klatt et al. 2013; Garratt, Breeze, et al. 2014). მწერებით დამტვერვა ხელს უწყობს გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებას მცენარეების პოპულაციაში (Kearns, Inouye, and Waser 1998). ასევე მოსავლის რაოდენობის ზრდა, ხარისხის გაუმჯობესება, თესლის წარმოება და ნაყოფიერების ზრდა მომავალ თაობებში მწერებით დამტვერვაზეა დამოკიდებული (Albrecht et al. 2012). გარდა ეკოლოგიური მნიშვნელობისა მწერებით დამტვერვას დიდი ფინანსური სარგებელიც გააჩნია და მისი წლიური მაჩვენებელი მსოფლიოს სოფლის მეურნეობისთვის 150 მილიარდ ევროდაა შეფასებული (Gallai et al.

2009) რაც მსოფლიო სოფლის მეურნეობის მთლიანი ეკონომიკური მაჩვენებლის 9.5% ის ექვივალენტია (Potts et al. 2010).

მიუხედავად იმისა, რომ მეთაფლე ფუტკარი (*Apis mellifera* L.) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დამტვერავია ვაშლის ბაღში (Földesi et al. 2016), მეცნიერთა ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ველურ ფუტკრებზე და აღნიშნავენ, რომ დამტვერვის უზრუნველსაყოფად, მეთაფლე ფუტკრებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვან როლს ველური ფუტკრები ასრულებენ (Garibaldi et al. 2011). ველური ფუტკრებიდან ისეთი გვარების სახეობები როგორებიცაა: *Andrena*, *Osmia*, *Bombus* შედარებით დაბალ ტემპერატურაზე სტუმრობენ ყვავილს (Bosh and Blas 1994) და უფრო შედეგიანები არიან გარკვეული მცენარეების დამტვერვაში ვიდრე მეთაფლე ფუტკრები (Garibaldi et al. 2014; Thomson and Goodell 2001; Woodcock et al. 2013). ველური ფუტკრები გაცილებით წარმატებულები არიან ისეთი სასოფლო სამეურნეო კულტურების დამტვერვაში როგორიცაა: ნუში, კივი, მარწყვი, საზამთრო, მზესუმზირა და სხვ. (Garibaldi et al. 2013). სათბურებში დამტვერვის პრობლემის გადასაჭრელად აქტიურად ხდება ბაზების (*Bombus*) გამოყენება (Kraus et al. 2011; D. Goulson, Lye, and Darvill 2008), რადგანაც ისინი ზრდიან როგორც მოსავლის რაოდენობას ასევე მიიღება უკეთესი ხარისხის ნაყოფი და სათესლე მასალა (Kwon and Saeed 2003; Velthuis and van Doorn 2006). აღსანიშნავია, რომ მწერებით დამტვერვაზე დამოკიდებული ნაყოფის მომცემი 41 მცენარის მოსავლაზე ადგილობრივი მწერების ფაუნა უფრო ეფექტურია მეთაფლე ფუტკართან შედარებით (გრაფიკი№1) (Garibaldi et al. 2013) გარდა ამისა მკვლევართა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ მეთაფლე ფუტკრის შეყვანა საექსპერიმენტო ნაკვეთებზე ამცირებდა ველური მწერების რაოდენობას (Lindstrom et al. 2016).




გრაფიკი № 1 ადგილობრივი მწერების ეფექტურობა მეთაფლე ფუტკართან შედარებით (Garibaldi et al. 2013)

მიუხედავად ველური ფუტკრების უპირატესობისა მეთაფლე ფუტკართან, დღესდღეისობით ფერმერების უმეტესობა დამტვერვის პრობლემის მოსაგვარებლად აქტიურად ქირობენ მეთაფლე ფუტკრის კოლონიებს (Morse and Calderone 2000; Losey and Vaughan 2006). თუმცა ბოლო დროს საქართველოშიც შეინიშნება შემოყვანილი ბაზების ოჯახების გამოყენება მოცვის პლანტაციებში, დამტვერვის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად (პერსონალური დაკვირვება, გურიის რეგიონში, სოფ. ლაითური - „ლუჯი ველი“).

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. დამტვერვით უზრუნველყოფა და დამტვერავების შემცირება


გერმანიაში დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებულმა 27 წლიანმა კვლევამ ადგილობრივი მფრენი მწერების ბიომასის 76%-იანი კლება დააფიქსირა (Hallmann et al. 2017), დღეისათვის კი მეცნიერები უკვე მიუთითებენ მწერების ბიომრავალფეროვნების კატასტროფულ მდგომარეობაზე მთელ მსოფლიოში და აღნიშნავენ, რომ დაახლოებით სახეობების ნახევარი სწრაფად მცირდება, მესამედი კი გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენებულია. მწერების ფართომასშტაბინი კლება შესაძლოა გახდეს მსხვილმასშტაბიანი ცვლილებების მიზეზი ეკოსისტემებში (Sánchez-Bayo and Wyckhuys 2019). მწერთა ჯგუფებში კლება სხვადასხვა ინტენივობით მიმდინარეობს (გრაფიკი №2) და ერთ-ერთი ყველაზე მეტად შემცირებული ჯგუფი ფუტკრები არიან, რომელთა კლებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა. აღნიშნული პრობლემა დამახასიათებელია, როგორც დასავლეთ და ცენტრალური ევროპისათვის, ასევე ჩრდილოეთ ამერიკისთვის (Buchmann and Nabhan 1996; Westrich 1996; Kosior et al. 2007;



გრაფიკი № 2 შემცირებული ან ადგილობრივად გადაშენებული სახეობების პროპორცია IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით : მოწყვლადი(შემცირება > 30%), საფრთხეში მყოფი(შემცირება>50%), გადაშენებული(ჩანაწერი არ მოიპოვება >50 წელი) (Sánchez-Bayo and Wyckhuys 2019)

აშშ-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ 20 წლის განმავლობაში, ბაზების ოთხი სახეობის (*B. occidentalis*, *B. pennsylvanicus*, *B. affinis*, *B. terricola*) რაოდენობა 96%-მდე, ხოლო გეოგრაფიული გავრცელება კი 23-87% შემცირდა (Cameron et al. 2011). მეცნიერთა ჯგუფი (Kosior et al. 2007) ნაშრომში, რომელიც ემყარება ლიტერატურულ მასალას, გამოუქვეყნებელ მონაცემებს, პირადი კომუნიკაციიდან მიღებულ ინფორმაციას, ასევე ავტორთა დაკვირვებებსა და ექსპერტების რეცენზიებს, აღნიშნავენ რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის 11 (რუკა №1) ქვეყანაში შეინიშნება ბაზების პოპულაციის კლება. 1951-2000 წლებში კი ბაზების ოთხი

სახეობა (*B. armeniacus*, *B. culluanis*, *B. serrisquama*, *B. sidemii*) გადაშენდა 11-ვე ქვეყანაში (Kosior et al. 2007)



რუკა № 1 11 ქვეყანა დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, საიდანაც შეგროვდა ინფორმაცია ბაზებზე: BEL, ბელგია; NLD, ნიდერლანდები; LUX, ლუქსემბურგი; DNK, დანია; DEU, გერმანია; CHE, შვეიცარია; AUT, ავსტრია; CZE, ჩეხეთის რესპუბლიკა; SVK, სლოვაკეთი; HUN, უნგრეთი; POL, პოლონეთი (Kosior et al. 2007).

მიუხედავად იმისა რომ მეთაფლე ფუტკრის კოლონიების შემცირება სხვადასხვა რეგიონში ფიქსირდება მსოფლიოს მასშტაბით, მათმა საერთო რაოდენობამ 45%-ით მოიმატა 1961 წლის შემდეგ, თუმცა მეთაფლე ფუტკრის კოლონიების მატების პარალელურად გაცილებით სწრაფად იმატებს დამმტვერავებზე დამოკიდებული სასოფლოს სამეურნეო კულტურებით დაფარული ფართობი (>300%), რაც ბუნებრივია ზრდის მოთხოვნას დამტვევრის სერვისზე, რომელსაც მხოლოდ მეთაფლე ფუტკარი ვერ უზრუნველყოფს (Aizen and Harder 2009)


გარდა ველური დამმტვერავებისა საფრთხის წინაშე დგანან მეთაფლე ფუტკარის ოჯახები, მათმა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო ევროპასა და აშშ-ში (Potts, Roberts, et al. 2010; Ellis and Munn 2005).

ფუტკრების კლების პარალელურად მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ენტომოფილური მცენარეების და მათი დამმტვერავების შემცირებაზე (Pauw and Bond 2011), რადგანაც ფუტკრის ყველა სახეობა დამოკიდებულია ყვავილოვან მცენარეებზე, როგორც მათ ძირითად საკვებ წყაროზე (Winfree 2010), ყვავილებით მდიდარი ჰაბიტატების შენარჩუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფუტკრისნაირთა ფაუნის შენარჩუნებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ყვავილები და ფუტკრები ურთიერთდამოკიდებულები არიან (Biesmeijer 2006; Pauw and Hawkins 2011). ამას ადასტურებს გაერთიანებულ სამეფოსა და ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევა (Biesmeijer 2006), რომელიც მიუთითებს დამმტვერავებისა და ენტომოფილური მცენარეების პარალელურ კლებაზე. ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით კარგად არაა შესწავლილი და მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მცენარეების შემცირება შესაძლებელია განპირობებული იყოს დამტვერვით არასაკმარისი მომარაგებით ან პირიქით ფუტკრების შემცირება შესაძლოა გამოიწვიოს ყვავილების არასაკმარისმა რაოდენობამ, აგრეთვე განიხილება შესაძლო შემთხვევა, როდესაც ორივე მათგანი მგძნობიარე აღმოჩნდა გარემო პირობების ცვლილებებისადმი.

2.2. ფუტკრის ვირუსული დაავადებები

დამტვერავების კლების მიზეზებად გარემო პირობების სხვადასხვა სტრესფაქტორებთან ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ჰაბიტატის დეგრადაციასა და გაქრობაზე, სასოფლო სამეურნეო ფართობების ზრდასა და გლობალური კლიმატის ცვლილებაზე (Potts, Biesmeijer, et al. 2010), რომლებთან ერთადაც კომბინაციაში მოქმედებს სხვა დამატებითი სტრესფაქტორები (მაგ. პესტიციდები, ინვაზიური სახობები), ამან კი შესაძლოა გააძლიეროს პოპულაციის შემცირების ხარისხი და შემდგომში შეამციროს ველური ფუტკრების გენეტიკურ მრავალფეროვნება, რის შედეგადაც გაიზრდება

ინფექციური დაავადებების გავრცელება (Whitehorn et al. 2011), როგორცაა მეთაფლე ფუტკრთან დაკავშირებული რნმ ვირუსები, მიუხედავად მრავალი კვლევისა, რომელიც მეთაფლე ფუტკრის კოლონიების გაქრობას უკავშირდება, ჯერჯერობით არ გამოყოფენ ერთ კონკრეტულ მიზეზს თუ რა იწვევს აღნიშნულ ფენომენს (Cox-Foster et al. 2007; Anderson et al. 2008) და ფიქრობენ, რომ აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზის ერთობლივი ზემოქმედებით (გრაფიკი №3) და აქვე აღნიშნავენ რომ მსგავსი მიზეზების ერთობლიობა იმოქმედებს ველური ფუტკრების შემთხვევაშიც (გამონაკლისს წარმოადგენს მეფუტკრეობისთვის დამახასიათებელი მიზეზები) (Potts et al. 2010).



გრაფიკი № 3 მეთაფლე ფუტკრის დანაკარგის გამომწვევი მიზეზების ურთიერთქმედება. ლურჯი ჩარჩოები წარმოადგენს ფუტკრები დანაკარგის სამ მთავარ მიზეზს რომელიც ასოცირდება მეთაფლე ფუტკრის შემცირებასთან, წითელი ისრებით ნაჩვენებია მიზეზების პირდაპირი ზემოქმედება მეთაფლე ფუტკარზე, მწვანე ისრებით ნაჩვენებია მიზეზების ურთიერთქმედება ერთმანეთზე და ლურჯი ისრები მიუთითებს მიზეზების შიგნით (Potts et al. 2010).

დღეისათვის ფუტკრებში იდენტიფიცირებული ვირუსები წარმოდგენილია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი პოლარობის ერთჯაჭვიანი რნმ ვირუსებითა (Chen and Siede 2007; Brutscher, McMenamin, and Flenniken 2016; Luring and Andino 2010; Remnant et al.

2017; Schoonvaere et al. 2016) და დნმ-ის ოჯახვიანი ვირუსებით (Gauthier et al. 2015; Hartmann et al. 2015), ფუტკრებში ყველაზე ფართო გავრცელებით Picornavirales რიგში შემავალი Dicitroviridae (IAPV, KBV, ABPV, BQCV,) და Iflavridae (DWV, SBV, SBPV) ოჯახების დადებითი პოლარობის ერთჯახვიანი რნმ ვირუსები და ტაქსონომიურად არაკლასიფიცირებული CBPV მიიჩნევა (Chen and Siede 2007; Brutscher, McMenamin, and Flenniken 2016). ვირუსების გადაცემის გზების დადგენა საკმაოდ რთულია, თუმცა კვლევები ადასტურებს ვირუსების გადაცემას, როგორც სახეობის შიგნით ასევე სახეობებს შორის (Tehel, Brown, and Paxton 2016), რაც შეეხება გადაცემის საშუალებას სხვადასხვაგვარია და შესაძლოა მოხდეს, როგორც საერთო საკვები ბაზის გაზიარებისას (Koch, Brown, and Stevenson 2017; Tehel, Brown, and Paxton 2016), ასევე მეთაფლე ფუტკრისა და ბაზების პარაზიტი ტკიპებით (ვექტორებით) (Peck, Smith, and Seeley 2016; Schwarz and Huck 1997).

საქართველოში ფუტკრების ვისრუსულ დაავადებებზე სამეცნიერო ნაშრომები ფაქტიურად არ მოიპოვება, ვურუსული დაავადებები განხილულია მხოლოდ სასწავლო ან პრაქტიკული მეფუტკრეობისათვის გამოცემულ მასალებში, რაც შეეხება ველური ფუტკრების ვირუსულ დაავადებებს ამ მიმართულებით ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

2.3. საქართველოში გავრცელებული ფუტკრები და მათი როლი.

Apoidea-ს ზეოჯახში ორი ჯგუფი Spheciformes და Apiformes შედის, ამ უკანასკნელში კი ერთიანდება ფუტკრების 7 ოჯახი: *Stenotritidae*, *Colletidae*, *Andrenidae*, *Halictidae*, *Melittidae*, *Megachilidae*, *Apidae*. დღეისათვის მსოფლიოში ფუტკრისნაირების 20 000-მდე სახეობაა აღწერილი (Michener 2007), რომლებიც ყველა კონტინენტზე (ანტარქტიკის გარდა) და ბიომების უმეტესობაში (გარდა ტუნდრისა) მნიშვნელოვანი დამმტკერავები არიან (Ollerton 2017). საქართველოში ფუტკრისნაირთა 361 სახეობაა გავრცელებული რომელიც 6 ოჯახს წარმოადგენს (Kirkitaдзе and Japoshvili 2015; Kirkitaдзе et al. 2017). გამონაკლისია *Stenotritidae*-ს ოჯახი, რომლის სახეობები მხოლოდ ავსტრალიაში არიან ნაპოვნი. საქართველოს ფუტკრისნაირები მხოლოდ ფაუნისტურადაა შესწავლილი,

პირველი სია საქართველოს ფუტკრისნაირებზე 1967 წელს გამოქვეყნდა (სხირტლაძე 1967). ამის შემდეგ 20-მდე ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული, რომელშიც შეტანილი იქნა ახალი ჩანაწერები და აღწერილი იქნა ის ჰაბიტატები სადაც ფუტკრისნაირთა ესა თუ ის სახობაა გავრცელებული. საქართველოში დღემდე დამტვევრის პროცესში მხოლოდ მეთაფლე ფუტკრის მონაწილეობაზე იყო კვლევები ჩატარებული (ჟღენტი 1940), კვლევის მიზანს წარმოადგენდა სუბტროპიკული კულტურების დამტვევრვაში მეთაფლე ფუტკრის როლის განსაზღვრა. ჟღენტის (1940) ნაშრომში მოყვანილია კვარაცხელიას მიერ ვაშლის დამტვევრვაში მეთაფლე ფუტკრის ეფექტურობის დასამტკიცებლად ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები (ჟღენტი 1940)). კვარაცხელია იყენებდა შეფუთვის მეთოდს, კერძოდ კი შეარჩია სამი სახის ექსპერიმენტი: 1. ხელით დამტვერილი ყვავილები, სადაც შეზღუდული იყო დამტვევრვა მწერების მიერ; 2. ღია ყვავილები, სადაც ხდებოდა ბუნებრივი დამტვევრვა და 3. იზოლირებული ყვავილები, სადაც მოათავსა ერთი ჩარჩო მეთაფლე ფუტკრი. ვაშლის ექსპერიმენტული ყვავილებიდან ხელით დამტვევრვით 7.3% გამოინასკვა, ღიაში 30.42% და იქ სადაც მხოლოდ მეთაფლე ფუტკრები იყვნენ 54.2%. სხვა შრომებში კი მხოლოდ თეორიულადაა განხილული მეთაფლე ფუტკრის მონაწილეობა და ავტორები, თავიანთ მოსაზრებებს არ ამყარებენ პრაქტიკული შედეგებით (ზაალიშვილი 1897; ანდლულაძე 1970) რაც შეეხება ი. სხირტლაძეს, მას მხოლოდ ორ ნაშრომში აქვს განხილული (სხირტლაძე 1983, 1988) საქართველოში გავრცელებული ფუტკრისნაირები, როგორც დამტვევრავები, სადაც მხოლოდ ზოგადად საუბრობს ფუტკრისნაირების მონაწილეობაზე მცენარეთა დამტვევრვის პროცესში და აქვე აღნიშნავს, რომ რაიმე სახის ექსპერიმენტული სამუშაოს ჩატარება მიზნად არ დაუსახავს, ასევე იგი არ ციტირებს სხვა ავტორებს, რომლებსაც ჩატარებული აქვთ შესაბამისი კვლევები საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მცენარეთა დამტვევრვის პრობლემების განხილვას მხოლოდ ფუტკრისნაირთა ფაუნისტური და ლადშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ცდილობს, იმ მეცნიერებისგან განსხვავებით, რომლებმაც შეისწავლეს ვაშლის ბაღების დამტვევრავები, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ იტალიის ვაშლის ბაღებში ფუტკრისნაირთა ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია და შეგროვებულ მასალებში (875 ინდივიდი) ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობები *Apis mellifera* 40%,

Lasioglossum morio (Fabricius) 33% და *Andrena dorsata*(Kirby) 6% (Marini et al. 2012). რაც შეეხება ნიუიორკის შტატის ბაღებში გავრცელებულ ვაშლის დამმტვერავებს, მსგავსად იტალიისა აქაც ყველაზე მრავალრიცხოვანი *Apis mellifera* მის შემდეგ კი მოდის *Andrenas*-ს გავრი და Halictidae ოჯახის სახეობები (Gardner and Ascher 2006), თუმცა ვაშლის ყვავილებიდან ყველაზე დიდი რაოდენობის მტვერს *Apis* და *Bombus* გვარის წარმომადგენლები აგროვებდნენ, მაგრამ ბუტკოზე უფრო მეტი მტვერი *Bombus* გვარის სახეობების მეშვეობით ხვდებოდა, რაც ხაზს უსვავს მათ ფუნქციონალურობას ვაშლის დამტვერვის საკითხებში. გარდა ხსენებული გვარებისა ვაშლის დამტვერვაში დიდ როლს ასრულებენ *Halictus*-ს(McGregor 1976) და *Osmia*-ს (McGregor 1976; Matsumoto, Abe, and Maejima 2009; Gruber et al. 2011) გვარში შემავალი სახეობები.

2.4. ვაშლის დამტვერვის თავისებურებები

ვაშლი (*Malus domestica* Borkh. (Rosaceae: Maloideae)) ზომიერი ჰავის ერთერთი მნიშვნელოვანი ხილია, რომელის კულტივირება ევროპასა და აზიაში ანტიკური დროიდან იღებს სათავეს (Losada and Herrero 2013; Janick et al. 1996), მისი წარმოშობის ადგილად კი აზია მიიჩნევა (Forsline et al. 2010), უფრო ზუსტად კი ყაზახეთი (Dzhangaliev 2010). ვაშლი საქართველოში ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კულტურაა, რომლის ფართობი 20 763ჰა (FaoSTAT 2022) იკავებს და მოსავალმა 2019 წელს 44 300 ტონა შეადგინა(NationMaster 2022), 1992 წლიდან 2019 წლამდე ვაშლის მაქსიმალური მოსავალი 254 000 ტონა იყო 1995 წელს, ყველაზე მცირე კი 2017 წელს 19 700 ტონა(NationMaster 2022) ვაშლის კულტურისთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებენ დამმტვერავები, რადგანაც ჯიშების უმეტესობა თვითსტერილურია და ვაშლის პროდუქტიულობა დამოკიდებულია ჯვარედინ დამტვერვაზე (McGregor 1976; Garratt, Breeze, et al. 2014), ჯვარედინი დამტვერვის ეფექტურობა და საჭიროება ნათლად გამოჩნდა ელსტარსა და ჯონაგოლდზე ჩატარებული ექსპერიმენტით, სადაც ჯვარედინი დამტვერვით მიღებული ნაყოფები და თესლები რაოდენობრივად აჭარბებს თვითდამტვერვის შედეგად მიღებულ ნაყოფებსა და თესლებს, გოლდენის შემთხვევაში კი ჯვარედინად დამტვერვის შედეგად მიღებული ნაყოფები წონითაც აღემატებოდა თვითდამტვერვის შედეგად მიღებულ ნაყოფებს (De Witte et al. 1996)

ვაშლი ერთსახლიანი მცენარია, ორსქესიანი ყვავილებით (Pratt 1988; Pereira-Lorenzo, Ramos-Cabrera, and Fischer 2009), ყვავილს აქვს ხუთი გვირგვინის ფურცელი, ხუთი ჯამის ფოთოლაკი, ოთხი მტვრიანა და ბუტკო. ყვავილედ შედგება 3-20 ყვავილისაგან, მაგრამ კომერციულ ჯიშებში უმეტესწილად 5 ყვავილი გვხვდება (Rasko and Millner 2010), რომელთაგან ერთი კენწრული დანარჩენი კი გვერდითა ყვავილებია, პირველი კენწრული ყვავილი იშლება და ის ოთხჯერ უფრო ხშირად იხსავს ნაყოფს გვერდითა ყვავილებისგან განსხვავებით (Losada and Herrero 2013). ვაშლი საშუალოდ 9 დღე ყვავილობს და ცივი ამინდის შემთხვევაში ეს პერიოდი იზრდება, თბილი და ქარიანი ამინდის შემთხვევაში კი მცირდება (Morris 1921) ქარისა და ტემპერატურის გარდა ვაშლის ნაყოფმსხმოიარობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ყინვები (Dzhangaliev 2010) ზამთრის პერიოდში დაბალი ტემპერატურა ამცირებს როგორც მტრის მარცვლების რაოდენობას ასევე მათ სიცოცხლისუნარიანობს (Jackson 2005).

როგორც ცნობილია ვაშლის ყვავილი ნექტარსა და მტვერს უხვად გამოყოფს სხვა ფოთლოვანი ხეხილისაგან განსხვავებით (McGregor 1976), სწორედ ამიტომ ვაშლის ყვავილი ნიშნულგან საკვებ ბაზას წარმოადგენს ადრეულ გაზაფხულზე მეთაფლე ფუტკრის კოლონიის ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისათვის (McGregor 1976).

საქართველოში ველური დამტვერავები და მათი როლი არავის შეუსწავლია, მწირი იმფორმაციაა დამტვერვის პრობლემის შესახებ, კვლევები აღნიშნულის შესახებ მხოლოდ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარდა და ისიც სუბტროპიკულ კულტურებზე (ჟღენტი 1940). რაც შეეხება კვარაცხელიას კვლევებს ვაშლზე, ის არსად გამოქვეყნებულა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ფუტკრების მრავალფეროვნების, მათი როგორც ფუნქციონალური მნიშვნელობისა და მათი დაავადებების შესწავლა არამხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ პრობლემასაც წარმოადგენს.

3. კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

1. დაგვედგინა საქართველოში გავრცელებული ფუტრისნაირების ვალიდური სია.
2. შეგვესწავლა ვაშლის ბაღების ფუტკრისნაირთა ფაუნის სახეობრივი მრავალფეროვნება..
3. დაგვედგინა ვაშლის ყვავილების მთავარი დამტვერავები.
4. დაგვედგინა რომელი უარყოფითი ფაქტორები მოქმედებდა ფუტკრისნაირებზე.
5. გაგვეგო რომელი ვირუსული დაავადებები იყო გავრცელებული არამართო მეთაფლე არამედ ველურ ფუტკრებშიც

კვლევის მიზნების მისარწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:


1. გავვეკეთებინა არსებული ლიტერატურული წყაროების სრული ანალიზი.
2. შეგვეგროვებინა ფუტრისნაირთა ფაუნა ვაშლის ბაღებში.
3. განგვესაზღვრა ფუტკრისნაირთა რომელი ჯგუფები მონაწილეობდნენ ყველაზე აქტიურად ვაშლის ყვავილის დამტვერვაში.
4. დაგვედგინა არსებობდა თუ არა მტვრის გავრცელების შეზღუდვა ვაშლის ბაღებში
5. რამდენად უზრუნველყოფდა ფუტკრისნაირთა ფაუნა დამტვერვის სერვისით ბაღებს
6. როგორია ქარის მონაწილეობა ვაშლის ყვავილების დამტვერვაში.
7. რომელი დაავადებები იყო გავრცელებული ფუტკრისნაირებში.

4. მეთოდოლოგია


4.1. მონაცემთა შეგროვება

ჩვენს მიერ მოძიებული და გაანალიზებული იქნა საქართველოს ფუტკრისაირთა ფაუნაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო მასალები. საქართველოში გავრცელებულ ფუტკრისაირთა სახეობების ვალიდურობა შემწმობული იქნა მიჩნერის მსოფლიოს ფუტკრების მონოგრაფიის, (Michener 2007) შესაბამისი ვებ-გვერდებისა და ვებ-რესურსების დახმარებით (Mitroiu 2013; Pickering and Ascher 2019).


სადოქტორო თემის ექსპერიმენტული ნაწილის შესასრულებლად შეირჩა 30 ვაშლის ბაღი კახეთისა (9) და შიდა ქართლის რეგიონებში (21) 2013-2016 წლებში (რუკა №2; № და №4).



რუკა № 2 ექსპერიმენტული ბაღები



რუკა № 3 შიდაქა რთლის ექსპერიმენტული ბალები



რუკა № 4 კახეთის ექსპერიმენტული ბალები

იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოგვერიცხა ბალებში ერთი და იგივე ფუტკრისნაირის ინდივიდის მოხვედრა, ბალებს შორის მინიმალურ მაძილად აღებულია 5კმ, რაც ფუტკრისნაირების ფრენის დისტანციის მიღმაა (ან ამცირებს მინიმუმამდე). ფუტკრისებთა ფაუნის შესაგროვებლად ჩვენ ვიყენებდით ჩასადგმელ ხაფანგებსა და მწერბადეს, რადგან ამ ჯგუფში ყველაზე ეფექტური მეთოდი სწორედ ეს ორი საშუალებაა (Bartomeus et al. 2013). თითოეულ ბაღში ყველაზე ქვემოთ მყოფი ყვავილის სიმაღლეზე განვათავსდა სამი ყვითელი, სამი ლურჯი და სამი თეთრი ფერის ჩასადგმელი ხაფანგი 24 საათის განმავლობაში (ფოტო №1 და №2). ხაფანგები 1/2-მდე შეივსო წყლით და დაემატა რამოდენიმე წვეთი თხევადი საპონი წყლის ზედაპირული დაჭიმულობის მოსახსნელად. ხაფანგები განთავსდა სამკუდხედად (ერთი ყვითელი, ერთი ლურჯი და ერთი თეთრი) ერთმანეთისაგან 5 მეტრის დაშორებით, სამეულებს შორის მანძილი კი 20 მეტრი იყო,

თითოეულ ბაღში განთავსებული იყო სამი სამეული 24 საათის განმავლობაში, შეგროვებული მასალები კი მოთავსებული იქნა 95%-იან სპირტში.



ფოტო № 1 ყვითელი ჩასადგმელი ხაფანგი



ფოტო № 2 თეთრი ჩასადგმელი ხაფანგი

ვაშლის ყვავილების ყველაზე ეფექტური ვიზიტორი ფუტკრის გამოსავლენად ფუტკრისნაირები დაიყო სამ ძირითად ჯგუფად: მეთაფლე ფუტკარი, ბაზი(Bombus) და ყველა დანარჩენი ველური ფუტკარი. ჯგუფების ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს მათი ვიზუალურად განსხვავების სიმარტივე ველზე მუშაობის დროს. ვაშლის აქტიური ყვავილობის პერიოდში დაკვირვება ხორციელდებოდა ყვავილის ვიზიტორ ფუტკრებს რა დროსაც აღირიცხა, რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა ვიზიტორი, ვიზიტის ხანგრძლივობა, ვიზიტის დროს მონახულებული ყვავილების რაოდენობა, დაკვირვება

ხორციელდებოდა 1 ინდივიდზე ვიზიტის დაწყებიდან დასრულებამდე, თითოეული ჯგუფში 40 ინდივიდისთვის მოხდა აღნიშნული მონაცემების შეგროვება.

დამტვერვის უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის თითოეულ ბაღში შერჩეული იქნა 10 ხე, ყოველ ხეზე ვნიშნავდით ერთი და იგივე ხნოვანების 9 კენწრულს ყვავილს, რომელთაგან სამი ყვავილი გაშლამდე იფუთებოდა 0.1 მმ-ის უჯრების მქონე მარლით (მწერების მიერ ნულოვანი დამტვერვა (ფოტო №3))(ჟლენტი 1940; Spears 1983; Garratt et al. 2013); შემდეგ სამს ვნიშნავდით წითელი ძაფით და იმტვერებოდა მაჟალოს მტვერით (მაქსიმალური დამტვერვა (ფოტო № 4)) ბოლო სამს კი შავი ძაფით(ბუნებრივი დამტვერვა) (Campbell and Husband 2007; Spears 1983), მონიშნული ყვავილი აუცილებლად უნდა ყოფილიყო 2-3 დღის გაშლილი, რადგან ამ პერიოდშია ბუტკო მზად მტვრის მარცვლების მისაღებად და დარჩენილი სამი კი ინიშნებოდა შავი ძაფით (ბუნებრივი დამტვერვა(ფოტო №5)). ექსპერიმენტული ყვავილებიდან მიღებული ნაყოფები კი იკრიფებოდა დამწიფებამდე 2 კვირით ადრე რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული ვაშლის ექსპერიმენტული ნაყოფების დაკარგვა, მოკრეფილი ვაშლების გადატანა ხდებოდა ლაბორატორიაში შემდგომი კვლევისათვის



ფოტო № 3 ნულოვანი დამტვერვა (ქარისმიერი დამტვერვა)



ფოტო № 4 მაქსიმალური დამტვერვა



ფოტო № 5 ბუნებრივი დამტვერვა

ვინაიდან ვაშლის ყვავილების დამტვერვაში ქარის მონაწილეობაც მოიაზრება აღნიშნულის გასაგებად ხანდაკის ბაღში შერჩეულ იქნა 5 ყველაზე დაბალი ხე რომელთა სიმაღლე 2.5 მეტრს არ აღემატებოდა, აღნიშნული ხეებისთვის დამზადდა კარკასი, რომლის კედლები დაიფარა მარლით, რაც არ აძლევდა საშუალებას მწერებს მიეღწიათ შერჩეული ხის ყვავილებამდე (ფოტო № 6 და №7).




ფოტო № 6 ქარისმიერი დამტვერვის დასადგენი ყუთი




ფოტო № 7 ქარისმიერი დამტვერვის დასადგენი ყუთები

5. მასალების დამუშავება

მოპოვებული მასალები გადატანილ იქნა ლაბორატორიაში შემდგომი დამუშავებისათვის. ჩასადგმელი ხაფანგებით შეგროვებული ფუტკრის ნაირები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ 95% სპირტში, ყველა ინდივიდის შუა ფეხი განთავსდა 95% სპირტში დნმ-ის გამოსაყოფად, მორფოლოგიური კვლევისთვის კი მოხდა ინდივიდის გაშრობა და მონტირება ენტომოლოგიური ნემსების და სამონტირო ქაღალდების გამოყენებით (სურათი №8 და №9), თითოეული მათგანს მიეცა ეტიკეტი და ამის შემდგომ ინდივიდების ინდივიდების რკვევა გვარების დონემდე მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით ტაქსონომიური სარკვევევის (Michener 2007) გამოყენებით.



ფოტო № 8 მონტირებული ფუტკრები



ფოტო № 9 მონტირებული ფუტკრები

მოკრეფილი ვაშლები გაიჭრა და თითოეულში აღირიცხა არსებული თესლების რაოდენობა (ფოტო №10 და №11), მიღებული მონაცემების გამოყენებით კი მოხდა დამტვერვით უზრუნველყოფის მაჩვენებლის გამოთვლა, სპირსის მოდიფიცირებული ფორმულის გამოყენებით (Spears 1983).

$$E = [O-Z] / [H-Z]$$

სადაც E არის დამტვერვით უზრუნველყოფის მაჩვენებელი და ცვალებადობს ნულსა (როცა დამტვერვით უზრუნველყოფა არაა) და ერთს შორის (ბაღში დამტვერვით უზრუნველყოფა არის მაქსიმალური), Z არის მწერების მიერ ნულოვანი დამტვერვა, O ბუნებრივი დამტვერვა და H მაქსიმალური დამტვერვა.



ფოტო № 10 მაქსიმალური დამტვრვის შედეგად მიღებული ვაშლის ნაყოფები



ფოტო № 11 თესლების რაოდენობა მაქიმალურად დამტვერილ ვაშლის ნაყოფში

მოლეკულური ანალიზისთვის თითოეულ ინდივიდის შუა ფეხი მოთავსდა 2.5 მლ-იან წყლიან ტუბში და ორი საათის განმავლობაში განთავსდა სანჯდრევზე, დნმ-ის გამოყოფისთვის გამოყენებულ იქნა „high salt“ და „Chelex“ ექსტრაქციის მეთოდი (Paxton et al. 1996; Ps, Da, and R 1991) მიტოქონდრიული ციტოქრომა c ოქსიდაზა ქვეჯგუფი I (COI) გენის (~700 ბპ) მონაკვეთის გასამრავლებლად შეირჩა სტანდარტული პრიმერი LCO-1490 და HCO-2198 (Folmer et al. 1994). როგორც აღმოჩნდა გამოყენებული პრაიმერები ვერ

ახდენდნენ ზოგიერთი ფუტკრის სახეობის სამიზნე რეგიონის ამპლიფიკაციას, განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო გახდა გვარი *Andrena* სახეობების შემთხვევაში. ნიმუშები, რომლების დნმ სამიზნე უბნის ამპლიფიცირებასაც ვერ ახდენდა LCO-1490/HCO-2198 პრაიმერთა წყვილის კომბინაცია, ამიტომ ჩანაცვლდა მოდიფიცირებულ პრაიმერთ (5'-GCTTTCCCACGAATAAAATAATA-3') (Schmidt et al. 2015) HCO პრაიმერთან კომბინაციაში მოკლე მონაკვეთის ამპლიფიცირებისთვის COI (~400 bp). COI ამპლიფიცირებისთვის გამოიყენებოდა სტადარტული პჯრ და მიღებული პროდუქტის შესამოწმებლად კი QiAxcel capillary electrophoresis system (Qiagen, Hilden, Germany) და 1% აგაროზას გელი შეღებილი Diamond Nucleic Acid Dye (Promega, Madison, WI, USA). პჯრ პროდუქტი გასუფთავდა ExoSAP-IT (Affymetrix, სანტა კლარა, კალიფორნია, აშშ) (Bell 2008) გამოყენებით და ორივე პრაიმერი LCO-1490 და HCO-2198 სექვენირებისათვის გაიგზავნა ABI სექვენატორზე (GATC Biotech, კონსტაზი, გერმანია, ან ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, მიუხენი, გერმანია). საბოლოოდ ქრომატოგრამები შევამოწმეთ ვიზუალურად და დაბოლოებები შესწორდა Geneious v.6.1 პროგრამის გამოყენებით (Kearse et al. 2012). მიღებული პროდუქტების ნუკლეოტიდური თანამიმდევრობები გარდადაიქმნა ამინომჟავებად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ჩასწორებები და პროგრამა MEGA v.6-ით დამუშავება (Tamura et al. 2013). მიღებული ნუკლეოტიდური თანამიმდევრობა შედარა NCBI ნუკლეოტიდების ბაზაში არსებულ სექვენსებს, რამაც 98 % და მეტი მსგავსებააჩვენა კონკრეტულ სახეობებთან. უფრო ზუსტი იდენტიფიცირებისთვის გამოენებულ იქნა the Barcode of Life (BOLD) (Ratnasingham and Hebert 2007) ბაზა და მხოლოდ სახეობის დონის ბარკოდები.

5.1. ფუტკრების ვირუსული დაავადებები

იმისათვის, რომ დადგენილიყო თუ როგორ იყო ვირუსული პათოგენებით გაჯერებული ვაშლის ბაღებში მოქმედი ფუტკრისნაირთა პოპულაცია, შერჩეული იქნა ორი ვაშლის ბაღი, რომლებიც ერთმანეთისგან დაშორებული იყო 15 კილომეტრით, რაც ფუტკრების ფრენის დიაპაზონს მიღმაა და გვამლევს გარანტიას, რომ დამოუკიდებელი პოპულაციები

იქნებოდნენ წარმოდგენილები ბაღში. ფუტკრების შეგროვება ხორციელდებოდა მწერბადით, რომლებსაც ინდივიდუალურად ვათავსებდით 1.5 მლ ტუბებში, ყველა ინდივიდი თითოეულ ბაღში შეგროვდა ერთიდაიგივე დღეს, შეგროვებისას ფუტკრები დავყავით 3 მთავარ ჯგუფად: ბაზები, მეთაფლე ფუტკარი და სხვა ველური ფუტკარი, შეგროვების შემდეგ კი მორფოლოგიური სარკვევების გამოყენებით გაირკვა გვარების დონეზე. იმისათვის, რომ რნმ დეგრადაცია არ მომხდარიყო, თითოეული ინდივიდი დაჭერისთანავე მოთავსდა “RNAlater” ხსნარში, შემდგომ კი განთავდა -24°C -ზე შემდგომი პროცედურის დაწყებამდე. რნმ-ის გამოყოფისა და ვირუსების გარკვევისათვის მასალები გაგზავნილ იქნა მარტინ ლუთერის უნივერსიტეტში (ჰალე, გერმანია), სადაც აღნიშნული სამუშაოსთვის გამოყენებული იქნა ფუტკრების მთლიანი სხეული.

5.2. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისათვის გამოყენებული იქნა R 3.4.4 (R core Team 2018) პროგრამა და მისი პაკეტი “ggplot2” (Wickham 2009) ასევე Biodiversity Proffecional. ვაშლის ბღების ფუტკრისებრთა ფაუნაში გვარების, სახეობების პროცენტული რაოდენობისა სახეობების ბიეოგრაფიული გავრცელების საჩვენებლად გამოყენებული იქნა წრიული დიაგრამები. ფუტკრის სახეობების რაოდენობის გამოყენებით ავაგეთ ბაღების მსგავსების კლასტერი „Bray-Curtis Cluster” Biodiversity Proffecional.

ფუტკრისნაირთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ მონახულებული ყვავილების რაოდენობებს შორის სხვაობის საჩვენებლად აიგო ბოქსპლოტი და სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობის საჩვენებლად შეირჩა Tukey HSD ტესტი.


ფუტკრისნაირთა რაოდენობისა და დამტვერვით უზრუნველყოფის საშუალო მაჩვენებელს შორის კავშირის საჩვენებლად გამოყენებული იქნა წრფივი რეგრესიული ანალიზი.

6. შედეგები

6.1. ვაშლის ბაღების დამმტვერავების სახეობრივი მრავალფეროვნება

ჩვენს მიერ საქართველოს ფუტკრისნაირებზე გამოცემული ყველა პუბლიკაციის შეგროვების შედეგად დადგინდა რომ, საქართველოში გავრცელებული ფუტკრისნაირების რაოდენობამ 361 სახეობა შეადგინა (Kirkidze and Japoshvili 2015; Kirkidze et al. 2017).

ჩასადგმელი ხაფანგებით სულ შეგროვებული იქნა 1006 ფუტკრისნაირთა ინდივიდი 27 ექსპერიმენტულ ვაშლის ბაღში, 3 ბაღში (ახალდაბა, ხანდაკი, შინდისი) კი შეგროვება ვერ მოხერხდა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო (დაბალი ტემპერატურა, ქარი, მოღრუბულობა და ნალექი). შეგროვებული ფუტკრისნაირები ერთიანდებიან შემდეგ ოჯახებში Andrenidae, Halictidae, Megachilidae, Apidae. (გრაფიკი №4) გვარებში ინდივიდების რაოდენობა კი შემდეგნაირად გადანაწილად : *Andrena* 245, *Panurginus* 1, *Halictus* 13, *Lasioglossum* 506, *Chelostoma* 4, *Osmia* 9, *Nomada* 1, *Eucera* 2, *Bombus* 1, *Apis* 224.



გრაფიკი № 4 ვაშლის ბაღებში მოპოვებული ფუტკრების შემადგენლობა გვარების მიხედვით

